



**ACCOUNTANCY
EUROPE.**

აუდიტის ხარისხის ინდიკატორები

გლობალური ინიციატივების მიმოხილვა

საინფორმაციო დოკუმენტი

FACTS.

**აუდიტი და მარშმუნიციპალი მომსახურება
მაისი 2022**

ბნიჰნალოჰანი ინჰოიკაჰია

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ აუდიტის ხარისხის ინდიკატორებთან (AQIs) დაკავშირებით შერჩეული უახლესი ინიციატივები. ეს ინიციატივები წამოაყენა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციამ, მათ შორის მარეგულირებელმა და საზედამხედველო ორგანოებმა, პროფესიულმა ორგანიზაციებმა და დამოუკიდებელმა ფორუმებმა. გარდა ამისა, არსებობს განსხვავებები მათი გამიზნული მომხმარებლებისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით.

წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს აუდიტის ხარისხის განსაზღვრის, შეფასებისა და გაუმჯობესების გზების მოძიებასთან დაკავშირებით ევროპული და საყოველთაო განხილვების წინ წამოწევას. Accountancy Europe-ი აქტიურად მუშაობს ამ საკითხზე და ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობითა და კონსტრუქციული რეკომენდაციების გაწევით გააგრძელებს დებატებში წვლილის შეტანას.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს იმ დოკუმენტის თარგმანს, რომლის თავდაპირველი ვერსია გამოქვეყნდა 2022 წლის მაისში Accountancy Europe-ის მიერ სათაურით Audit Quality Indicators: a global overview of initiatives.

თარგმანი მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სრული პასუხისმგებლობით. Accountancy Europe არ არის პასუხისმგებელი თარგმნილი დოკუმენტის შინაარსსა და თარგმანის სიზუსტეზე. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მკითხველმა უნდა მიმართოს დოკუმენტის ორიგინალ, ინგლისურ ვერსიას. მისი უფასოდ გადმოწერა შესაძლებელია Accountancy Europe-ის ვებ-გვერდიდან: ბმული.

დაუშვებელია Accountancy Europe-ის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების ორიგინალი ან თარგმნილი ვერსიების გამრავლება/გავრცელება, სრულად ან ნაწილობრივ, Accountancy Europe-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. დაუკავშირდით Accountancy Europe-ს ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე - info@accountancyeurope.eu

This publication is the translation of a document originally published by Accountancy Europe in May 2022, entitled Audit Quality Indicators: a global overview of initiatives.

The translation has been prepared under the full responsibility of Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision (SARAS). Accountancy Europe bears no responsibility for the content of the document or for the accuracy of the translation. In case of doubt the reader should refer to the original English version that can be downloaded free of charge from the Accountancy Europe website: [link](#).

Accountancy Europe documents may not be reproduced, in total or in part, in the original language or in translation, without the prior written consent of Accountancy Europe info@accountancyeurope.eu

სარჩევი

შესავალი	2
ზოგადი ინფორმაცია	2
მიზანი	2
ხარისხის მართვის ახალი გლობალური ჩარჩო	2
აუდიტის ხარისხის ინდიკატორების ინიციატივების მიმოხილვა	5
ინიციატივები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში	6
საჯარო სექტორის აუდიტორთა ინსტიტუტი (IDW), გერმანია	6
კვარტერმაისტერები, ნიდერლანდები	7
პორტუგალიური ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომისია (CMVM), პორტუგალია.....	8
სხვა ევროპული ქვეყნების ინიციატივები.....	9
აუდიტის ფედერალური ზედამხედველობის ორგანო (FAOA), შვეიცარია	9
ფინანსური ანგარიშგების საბჭო (FRC), დიდი ბრიტანეთი	10
სხვა ქვეყნების ინიციატივები.....	11
კანადის საჯარო ანგარიშვალდებულების საბჭო (CPAB), კანადა.....	11
ინდოეთის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (ICAI), ინდოეთი.....	12
ბუღალტრული აღრიცხვისა და კორპორაციული მარეგულირებელი ორგანო (ACRA) - სინგაპური	13
აუდიტორთა დამოუკიდებელი მარეგულირებელი საბჭო (IRBA), სამხრეთ აფრიკა	14
აუდიტის ხარისხის ცენტრი (CAQ), აშშ	15
Accountancy Europe-ის შესახებ	18

შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

ევროკომისიამ კორპორაციული ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი პრაქტიკული რეალიზების ინიციატივა წამოიწყო. ევროკომისიის [კონსულტაცია](#) მოიცავდა აუდიტის ხარისხის ინდიკატორებსა და მის მის ზედამხედველობასთან დაკავშირებულ კითხვებს. Accountancy Europe-ს სურს წვლილი შეიტანოს ამ საკითხში ფაქტობრივ მტკიცებულებებზე დაყრდნობითა და კონსტრუქციული რეკომენდაციების გაწევით.

ეს საკითხი სხვა იურისდიქციაში აქტუალურია, მაგალითად:

- აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) გლობალური აუდიტის ხარისხის სამუშაო ჯგუფი აუდიტის ხარისხის ინდიკატორების სათანადო სიის შედგენაზე მუშაობს;
- საზოგადოებრივი დაინტერესების სუბიექტების ბუღალტრული აღრიცხვის საზედამხედველო საბჭო (PCAOB-US) განსაზღვრავს მიზანს, დაადგინოს, შეიმუშაოს და შეიტანოს აუდიტის ხარისხის ინდიკატორები [2020-24 წლების სტრატეგიულ გეგმაში](#);
- ფინანსური ანგარიშგების საბჭო (FRC-ავსტრალია) აპირებს საბუღალტრო/აუდიტორულ ფირმებსა და პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განსაზღვროს და წარადგინოს ანგარიში აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შესახებ [აუდიტის ხარისხის სამოქმედო გეგმაში](#).

მიზანი

Accountancy Europe-მა 2016 წელს გამოუშვა [საინფორმაციო დოკუმენტი](#) იმისთვის, რომ მსოფლიოს მასშტაბით წარედგინა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ აუდიტის ხარისხის ინდიკატორების მიმოხილვა. მას შემდეგ ბიზნესგარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მათ შორის სუბიექტების საოპერაციო მოდელებში, აუდიტორულ ფირმებსა და მარეგულირებელ ორგანოებში. რამდენიმე ახალი ინიციატივა წამოიჭრა, რომლის მიხედვითაც შემოთავაზებულია ან მოთხოვნილია აუდიტის ხარისხის ინდიკატორების სხვადასხვა კომპლექტის გამოყენება. წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემულია ამ ინიციატივების მიმოხილვა იმისთვის, რომ კომპეტენტურ მსჯელობებს საფუძველი ჩაეყაროს.

ხარისხის მართვის ახალი გლობალური ჩარჩო

აუდიტისა და მარეგულირებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) გამოსცა აუდიტის ხარისხის სამი ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევა 2022 წლის ბოლოს:

- *ხმს 1* ავალდებულებს აუდიტორულ ფირმებს, გამოიყენონ რისკზე დაფუძნებული მიდგომა და ხარისხის მართვის ინტეგრირებული მიდგომა ფირმის დონეზე;
- *ხმს 2* ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილველის დანიშვნასა და მის უფლებამოსილებას, ასევე გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესრულებაზე მის პასუხისმგებლობას;
- *აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ISA) 220* ყურადღებას ამახვილებს გარიგების დონეზე ხარისხის მართვაზე და ავალდებულებს აუდიტის გარიგების პარტნიორს, პასუხისმგებლობა აიღოს ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ხმს 1 მოითხოვს პროაქტიულ და ინდივიდუალურ მიდგომას ხარისხის მართვისადმი. ის ყურადღებას ამახვილებს მიზნებზე ხარისხის სფეროში ამ მიზნებთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრითა და მათზე რეაგირებით. ხმს 1-ის მიხედვით, ხარისხის მართვის სისტემა ეხება შემდეგ რვა კომპონენტს:

- ფირმის რისკის შეფასების პროცესი

- მმართველობა და ხელმძღვანელობა
- შესაფერისი ეთიკური მოთხოვნები
- ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარება, ძველ დამკვეთებთან ურთიერთობის გაგრძელება და კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება
- გარიგების შესრულება
- რესურსები
- ინფორმაცია და კომუნიკაცია
- მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი

ფირმის რისკის შეფასების პროცესი და მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი აყალიბებს იმ კონკრეტულ პროცედურებს, რომელთა შესრულება ფირმებს მოეთხოვებათ. დანარჩენი კომპონენტები შეიცავს იმ კონკრეტულ ხარისხის მიზნებს, რომელთა განხორციელება აუდიტორულ ფირმას მოეთხოვება.

სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული აუდიტორული ფირმების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები და აუდიტის ხარისხის ინდიკატორები, როგორც წესი, ზემოაღნიშნულ ამა თუ იმ კომპონენტს მიეკუთვნება.

აუდიტის ხარისხის ინდიკატორების ინიციატივების მიმოხილვა

შემდეგ ცხრილში მოცემულია აუდიტის ხარისხის ინდიკატორების სხვადასხვა ინიციატივა, რომელსაც თან ახლავს დამატებითი ინფორმაცია. ამ ინიციატივების მოკლე ანალიზი შემდეგი დაკვირვების შედეგების საშუალებას იძლევა:

- მესაკუთრე: ინიციატივები უმეტესად წამოწყებულია აუდიტის ზედამხედველობის ორგანოებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ. ფირმები აუდიტის ხარისხის მონიტორინგის ჩასატარებლად იყენებენ საკუთარ კრიტერიუმებს, რაც მრავალნაირადაა სტრუქტურირებული.
- მომხმარებელი და გამჭვირვალობა: აუდიტის კომიტეტები, ზედამხედველობის ორგანოები და აუდიტორული ფირმები მიიჩნევიან ძირითად მომხმარებლებად. როგორც წესი, აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შესახებ ანგარიში წარედგინება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებლებს და მათი გასაჯაროება არ ხდება.
- ხასიათი და შერჩევა: აუდიტის ხარისხის ინდიკატორები არ შემოიფარგლება რაოდენობრივი ელემენტებით და წარმოდგენილია უფრო ფართო კონტექსტში. აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შერჩევის, შეფასებისა და მათ შესახებ ანგარიშის წარდგენისას რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი (მაგ., იმ ინდიკატორების ხარჯ-სარგებელი, რომლებსაც თვალყურს ადევნებთ და გარე მიმოხილვების შედეგები). აუდიტის ხარისხზე ღრმა წარმოდგენის შესაქმნელად, რეკომენდებულია საზომების ერთობლიობის გათვალისწინება.

მესაკუთრე	მესაკუთრის საქმიანობა	გაეფინანსა მოხმარებელი	გამჭვირვალობა (სააჩიო ან კაჩიო)	მოკლე მიმოხილვა
სააჩიო საქმიანობის აუდიტორთა ინსტიტუტი (IDW) – გერმანია	პროფესიული ორგანიზაცია	აუდიტის კომიტეტები, საზედამხედველო ორგანო და ფართო საზოგადოება	ძირითადად, აუდიტის კომიტეტებისთვის და საზედამხედველო ორგანოსთვის ანგარიშის წარსადგენად	ქვემოთ ოთხი კომპონენტის ფარგლებში მოცემულია 32 აუდიტის ხარისხის ინდიკატორი და ერთი რამდენიმე ნიშნის მიხედვით კლასიფიცირებული აუდიტის ხარისხის ინდიკატორი: ხარისხის კულტურა შრომითი რესურსების ხარისხი პროცესის ხარისხი კომუნიკაცია
კვარტაილის ინსტიტუტი, ნიდერლანდები	ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნული ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფი	ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის ფართო საზოგადოება	ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ფირმები ვალდებული იქნებიან წარადგინონ ანგარიში	11 ინდიკატორი სამი კატეგორიის მიხედვით: ა უდიტის ხარისხი ხარისხის კონტროლის სისტემა შინაარსი
პორტუგალიური ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომისია (CMVM) – პორტუგალია	აუდიტის საზედამხედველო ორგანო	საზედამხედველო ორგანო	პირველი ორი წლის განმავლობაში, ანგარიში უნდა წარედგინოს მხოლოდ და მხოლოდ	რვა ინდიკატორი, რომელთაგან ოთხი ფირმის დონეზეა, ერთი გარიგების დონეზე, ხოლო სამი როგორც ფირმის, ასევე გარიგების დონეზე

			CMVM-ს	
აუდიტის ფაქტობრივი ზედამხედველობის ორგანო (FAOA) – შვეიცარია	აუდიტის საზედამხედველო ორგანო	საზედამხედველო ორგანო	FAOA-ი ყოველწლიურ ანგარიშებში წარადგენს მოკლე შეჯამებას, მათ შორის ინფორმაციას ტენდენციების შესახებ.	ცხრა ინდიკატორი და მათგან სამი ინდიკატორის შესახებ ანგარიში ცალ-ცალკე უნდა წარედგინოს შვეიცარიის ბაზრის ინდექსისა (SMI) და არა-SMI-ი სუბიექტებს.
ფინანსური ანგარიშგების საბჭო (FRC) – ლიხი ბრიტანეთი	აუდიტის ზედამხედველობის ორგანო	ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის ფართო საზოგადოება	FRC-ი გაივლის კონსულტაციას აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შესახებ, იმისთვის, რომ ისინი შეტანილ იქნას აუდიტორული ფირმების გამჭვირვალობის ანგარიშებში	FRC-მა განსაზღვრა 52 აუდიტის ხარისხის ინდიკატორი, რომელსაც მონიტორინგს უტარებს დიდი ბრიტანეთის 6 ყველაზე მსხვილი აუდიტორული ფირმა და ისინი შეიძლება დაიყოს ექვს ფართო კატეგორიად
ქანაღის საბანკო ანგარიშგების საბჭო (CPAB) – ქანაღა	პროფესიული ორგანიზაცია	აუდიტის კომიტეტები და აუდიტორული ფირმები	ეს გახლდათ საპილოტო პროექტი ყოველგვარი კონკრეტული მოთხოვნების გარეშე და მონაწილეთა უმეტესობა თვალყურს ადევნებდა აუდიტის ხარისხის ინდიკატორებს	აუდიტის ხარისხის 20 ინდიკატორის საჩვენებელი სია თავისი განმარტებებითა და ტიპებით

მესაკუთრე	მესაკუთრის საქმიანობა	გამიჯნული მომხმარებელი	მეგობრული (საბანკო ან ქირა)	მოკლე მიმონიშნა
			როგორც წესი, აუდიტორის მიერ აუდიტის კომიტეტისთვის მომზადებულ ცალკეულ ანგარიშში	
ინფორმაციის საინფორმაციო გადაცემის ინსტიტუტი (ICAI) – ინფორმაცი	პროფესიული ორგანიზაცია	საზედამხედველო ორგანო და აუდიტორული ფირმები (თვითშეფასების ვის)	გასაჯაროება არ არის გათვალისწინებული	მოდელის მიხედვით, რეკომენდებულია კომპეტენციის საფუძვლების შეფასების კრიტერიუმები სამი კატეგორიის მიხედვით: ოპერაციების მართვა - ადამიანური რესურსების მართვა სტრატეგიული/ფუნქციური მართვა
გადაცემის აუდიტის აქტივობის გარეგანი ორგანო (ICRA) – სინაპსი	აუდიტის საზედამხედველო ორგანო	აუდიტის კომიტეტები და აუდიტორული ფირმები	რეკომენდებულია, რომ აუდიტორულმა ფირმებმა აუდიტის ხარისხის ინდიკატორების მონაცემები აუდიტის კომიტეტებს პირადად გაუზიარონ	სტრუქტურული საფუძვლები შედგება შვიდი აუდიტის ხარისხის ინდიკატორისგან, რომელიც უნდა გამჟღავნდეს გარიგების ან/და ფირმის დონეზე
აუდიტორული გარეგანი ორგანო (IRBA) – საინფორმაციო აქტივობა	აუდიტის საზედამხედველო ორგანო	აუდიტის კომიტეტები, აუდიტის ფირმები და საზედამხედველო ორგანო	IRBA-მა გამოსცა კვლევის ანგარიში იმ ფირმების მიერ წარმოდგენილი აუდიტის ხარისხის ინდიკატორებთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლებიც ატარებენ საფონდო ბირჟაზე კოტირებული სამეურნეო სუბიექტის აუდიტს	აუდიტის ხარისხის ინდიკატორები ფარავს შემდეგ თემატურ სფეროებს: დამოუკიდებლობა თანამდებობაზე ყოფნის ვადა ფირმის ხარისხის შიდა მიმოხილვის პროცესები პარტნიორების სამუშაოს მოცულობა და აუდიტის მენეჯერების უფლებამოსილების ფარგლები ტექნიკური რესურსები ტრენინგები კადრების დენადობა

აუდიტის ხარისხის ხანძარი (CAQ) - აშშ	ავტონომიური საჯარო პოლიტიკის ორგანიზაცია	აუდიტორული ფირმები	რეკომენდებულია, რომ ფირმებმა გაითვალისწინონ ინფორმაციის გასაჯაროება	სტრუქტურული საფუძვლები მოიცავს ფირმის დონეზე არსებულ აუდიტის ხარისხის ინდიკატორების არასრულ სიას აუდიტის ხარისხის შემდეგი 6 ელემენტისთვის: ხელმძღვანელობა, კულტურა და ფირმის მმართველობა ეთიკა და დამოუკიდებლობა ახალი დამკვეთებთან ურთიერთობის და გარიგებების დაწყება და არსებულთან გაგრძელება გარიგების გუნდის მართვა აუდიტის გარიგების შესრულება მონიტორინგი
---	--	-----------------------	---	--

ინიციტივათა აკროკავშირის წაკითხვის სახელწოდება

საჯარო სექტორის აუდიტორთა ინსტიტუტი (IDW), გერმანია

2021 წლის დეკემბრის დოკუმენტში, რომელშიც დაფიქსირებულია IDW-ის პოზიცია, იგი განმარტავს, რა არის აუდიტის ხარისხი პროფესიის თვალსაზრისით და როგორ შეიძლება მისი გაზომვა და შეფასება. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება რელევანტური იყოს აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შერჩევასა და აუდიტის ხარისხის შესაფასებლად. გარდა ამისა, მასში წარმოდგენილია სხვადასხვა ასპექტი, რომელიც გასათვალისწინებელია აუდიტის ხარისხის ინდიკატორების ინტერპრეტაციისას.

და ბოლოს, ის განსახილველად გვთავაზობს აუდიტის ხარისხის ინდიკატორების კომპლექტს ქვემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების მიხედვით. ინდიკატორები თითოეული კომპონენტის მიხედვით კლასიფიცირებულია, როგორც ფირმასთან ან გარიგებასთან დაკავშირებული ინდიკატორები.

კომპონენტი	აუდიტის ხარისხის ინდიკატორები
ხარისხის კვლევა	<ul style="list-style-type: none"> მმართველობა ხელმძღვანელობა პროფესიული სკეპტიციზმი და დამოუკიდებლობა
პროფიტი ჩასანის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> ექსპერტული კომპეტენცია დარგობრივი ცოდნა და გამოცდილება
პროცესის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური და ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობა ჩართულობა საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები და აუდიტის ინსტრუმენტები აუდიტის პროცესის შესაბამისობა ხარისხის მართვის პროცესი
კომუნიკაცია	<ul style="list-style-type: none"> საზედამხედველო ორგანოსთან კომუნიკაცია ხელმძღვანელობასთან კომუნიკაცია
ჩაბრუნება ნიშნის მიხედვით კლასიფიცირებული აუდიტის ხარისხის ინდიკატორი	

აუდიტის ხარისხის საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტების არარსებობის აღიარებით, დოკუმენტში, რომელშიც დაფიქსირებულია პოზიცია, აღნიშნულია ის, რომ აუდიტის ხარისხის ინდიკატორები არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ რაოდენობრივი განზომილებებით, არამედ ასევე უნდა ეხებოდეს ხარისხობრივ ფაქტორებს.

კვარტერმაისტერები, ნიდერლანდები

ნიდერლანდებში, აუდიტის რეფორმის მიწოდების უზრუნველყოფისთვის დანიშნულმა კვარტერმაისტერებმა, განსახილველად წარადგინეს (თებერვალი 2022) 11 ხარისხის ინდიკატორი, რომელიც საჯარო კონსულტაციის საფუძველზე შემუშავდა:

კატეგორია	აუდიტის ხარისხის ინდიკატორები
აუდიტის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> გარე აუდიტორის მონაწილეობა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების სისუსტეები აქტუალური საკითხები: თაღლითობა და უწყვეტობა
შრომითი რესურსის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> ხარისხის გაუმჯობესებისთვის მისაღები ზომები ხარისხის კონტროლის სისტემები
შინაური	<ul style="list-style-type: none"> კულტურა აუდიტის გუნდის დენადობა ინვესტიციები ინოვაციურ ტექნოლოგიებში ბიუჯეტის გადაჭარბება სატრენინგო საათები გარემოსდაცვითი, სოციალური და მართვის (ESG) საკითხებისთვის დამკვეთის კმაყოფილება

განსახილველად წარდგენილ პროექტში, კვარტერმაისტერები, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ არ არსებობს არცერთი ინდიკატორი ან განმარტება, რომელსაც შეუძლია ღრმა წარმოდგენა შეგვიქმნას აუდიტის ხარისხზე. შესაბამისად, სხვა ფაქტორებიც გასათვალისწინებელია, როგორცაა ადმინისტრაციული ხარჯები, ყოვლისმომცველობა და შესადარისობა თითოეულ ინდიკატორთან მიმართებით. ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს მიერ შეთავაზების დამტკიცებისთანავე აუდიტორული ფირმები, რომლებსაც აქვთ ლიცენზია, ჩაატარონ სავალდებულო აუდიტი, 2023 წლიდან ვალდებულნი იქნებიან საჯაროდ წარადგინონ ანგარიში ამ აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შესახებ.

ნიდერლანდების სამეფოს სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (NBA) აპირებს შეაგროვოს აუდიტორული ფირმების შესაფერისი მონაცემები და ინფორმაცია გამჟღავნდება საჯარო პანელის მეშვეობით. შეიქმნება კონკრეტული კომიტეტი, რომელიც საჭიროებისამებრ, აუდიტის ხარისხის ინდიკატორების განთავსებისა და განახლების მონიტორინგს განახორციელებს.. ჰოლანდიის ფინანსური ბაზრების ორგანო (AFM) ზედამხედველობას გაუწევს მთელ პროცესს.

პორტუგალიური ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომისია (CMVM), პორტუგალია

2021 წელს CMVM-მა განაახლა თავისი აუდიტის ხარისხის ინდიკატორის მოდელი, რომელიც შეიცავს ინდიკატორების კომპლექსს, რომელიც ხარისხის შეფასებასთან ერთად, აუდიტის ხარისხის შეფასების საშუალებას შეიძლება იძლეოდეს. განახლებული ვერსია ძირითადად შედგებოდა ინდიკატორის - „საათები აუდიტის ერთ ფაზაზე“ - და კონცეფციის გარკვეული განმარტებები, რომლებიც ეხება ინდიკატორებს - „ხარისხის კონტროლის შედეგები“, „გამოცდილება“, „ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა“ და „გუნდის სტრუქტურა“ .

CMVM-ის მიხედვით, რეკომენდებულია გარდამავალი დანერგვა, რომლითაც 6 უმსხვილეს ფირმას, რომელიც საზოგადოებრივი დაინტერესების პირების აუდიტს ატარებს (ჯგუფი „ა“), მოეთხოვებოდა აუდიტის ხარისხის ინდიკატორების (ინდიკატორები და კრიტერიუმები ფირმისა და გარიგების დონეზე) შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა 2019 წლიდან დაწყებული 25 ჯგუფის აუდიტის გარიგების. 2020 წლიდან, კიდევ 5 ფირმას (ჯგუფი „ბ“) მოეთხოვება, წარადგინოს ანგარიში თავისი აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შესახებ, თითოეულმა ხუთი ჯგუფის აუდიტის გარიგებისთვის.

ფირმების 2019 და 2020 წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში უნდა წარდგენილიყო მხოლოდ CMVM- თან. ქვემოთ ჩამოთვლილია CMVM-ის მიერ განსაზღვრული ინდიკატორები:

- გუნდის სტრუქტურა
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა
- გამოცდილება
- ტრენინგი
- კადრების დენადობა
- საათები თითო აუდიტის ფაზაზე
- ხარისხის კონტროლის შედეგები
- ხარისხის კონტროლის ფუნქციები

სსპა ეპროჯექტი ქვეყნების ინიციატივები

აუდიტის ფაქტორული შეფასების მეთოდი (FAOA), შვეიცარია

FAOA-ი 5 ყველაზე დიდი აუდიტორული ფირმიდან კრებს აუდიტის ხარისხის 9 ინდიკატორს. ის ამას ძირითადად იყენებს ტენდენციების გასაანალიზებლად, ასევე რისკის შესაფასებლად და ინსპექტირების დასაგეგმად. FAOA-ი ბოლო 4 წლის, მათ შორის თავის 2021 წლის წლიურ ანგარიშში თითოეული აუდიტის ხარისხის ინდიკატორის დაკვირვებადი მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობების მიმოხილვას უზრუნველყოფს. ქვემოთ მოცემულია შემდეგი ინდიკატორები:

- წლიური ამონაგები თითო აუდიტის პარტნიორზე
- არააუდიტორული მომსახურების საფასურის თანაფარდობა აუდიტის მომსახურების საფასურთან*
- პერსონალის რაოდენობა თითო პარტნიორზე
- სატრენინგო საათები
- კადრების დენადობა %-ში
- გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის საათების საშუალო რაოდენობა*
- პასუხისმგებელი აუდიტორის საათების საშუალო რაოდენობა*
- უცხოური საერთო მომსახურების ცენტრის მუშაობის საათების რაოდენობის ფარდობა საჯარო სუბიექტებში მუშაობის საერთო საათების რაოდენობასთან.
- კონსულტაციების რაოდენობა თითო საჯარო სუბიექტის აუდიტზე

* შვეიცარიის ბაზრის ინდექსსა (SMI) და არა-SMI-ი კომპანიებს ანგარიში ცალ-ცალკე უნდა წარედგინოს.

FAOA-ი აღნიშნავს, რომ შვეიცარიის 5 უმსხვილესი აუდიტორული ფირმა იყენებს საკუთარ აუდიტის ხარისხის ინდიკატორებს, რაც სხვადასხვაგვარადაა სტრუქტურირებული.

ფინანსური ანგარიშგების სააჭო (FRC), დიდი ბრიტანეთი

FRC-ის თემატური მიმოხილვა 2020 წლის მაისიდან განსაზღვრავს აუდიტის ხარისხის ინდიკატორებს როგორც გარე აუდიტის ხარისხის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მათ შორის ამოსავალი მონაცემები და შედეგები. მიმოხილვა განსაზღვრავს აუდიტის ხარისხის ინდიკატორებს, რომელთა მონიტორინგი გაერთიანებული სამეფოს 6 უმსხვილესმა აუდიტორულმა ფირმამ განახორციელა. ფირმების მიერ გამოყენებული აუდიტის ხარისხის ინდიკატორები კლასიფიცირებულია როგორც „მეწინავე“ (აუდიტის პროცესის დაწყებამდე), „პროცესში მყოფი“ (აუდიტის პროცესში) და „ისტორიული“ (აუდიტის განხორციელების შემდეგ).

ამ მიმოხილვიდან გამოტანილია 9 ძირითადი გზავნილი, რომლის მიხედვით დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე გავრცელებული აუდიტის ხარისხის ინდიკატორები შეიძლება დაჯგუფდეს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად:

- პირები (13 AQIs)
- სხვა ამოსავალი მონაცემები (6 AQIs)
- პროექტის მართვა (5 AQIs)
- სხვა პროცესები (11 AQIs)
- ხელმძღვანელობის ინიციატივები (6 AQIs)
- შედეგები (11 AQIs)

არჩევის მხრივ, აუდიტის ხარისხის ინდიკატორები მრავალფეროვანია და აუდიტორულმა ფირმებმა, მიმოხილვის ფარგლებში, 52 ინდიკატორიდან მხოლოდ 3 ინდიკატორის მონიტორინგი განახორციელეს.

FRC-ის მიხედვით, აუდიტის კომიტეტებმა აუდიტორის თანამდებობაზე დანიშნვისას და ხარისხის შეფასებისთვის უნდა გამოიყენონ აუდიტის ხარისხის ინდიკატორები სხვა ფირმებთან შედარებით. გარდა ამისა, აუდიტორული ფირმების მმართველობამ და ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს აუდიტის ხარისხის ინდიკატორები იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ხარისხზე ორიენტირებულ კულტურას. მიმოხილვის მიხედვით, FRC-ი საჯარო კონსულტაციას გასწევს აუდიტის ხარისხის ინდიკატორების იმ ძირითადი კომპლექტის შესახებ, რომელთა წარმოდგენა ფირმებისთვის სავალდებულო იქნება თავიანთ გამჭვირვალობის ანგარიშებში.

<https://www.frc.org.uk/getattachment/50d6616f-e43d-49ad-9916-a9f03f0e49a9/FRC-3-Year-Plan-2022-25.pdf> FRC-ი თავის 2022-25 წლების სამ წლიან გეგმაში იღებს ვალდებულებას, გააგრძელოს მუშაობა აუდიტის კულტურასა და აუდიტის ხარისხის ინდიკატორებზე, რასაც იგი აღწერს, როგორც აუცილებელ კომპონენტს იმის გასაგებად, თუ როგორ ვითარდება აუდიტის ხარისხი დროთა განმავლობაში.

სსპა ქვეყნის ინიციატივაები

ქანაღის საჯარო ანგარიშვალდებულების საბჭო (CPAB), ქანაღა

2016 წელს, CPAB-მა წამოიწყო აუდიტის ხარისხის ინდიკატორების კვლევის საპილოტე პროექტი იმისთვის, რომ მიეღო უკუკავშირი აუდიტის ხარისხის ინდიკატორების სარგებლიანობაზე და მხარი დაეჭირა უფრო ფართო ეროვნული და საერთაშორისო განხილვებისთვის. ინიციატივის შედეგები შეჯამებულია [საბოლოო ანგარიშში](#), რომელიც 2018 წელს გამოიცა. ანგარიშში მაგალითისთვის მოცემულია აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შემდეგი კომპლექტი:

ტიპი	აუდიტის ხარისხის ინდიკატორები
გარიგების ვუნდის ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> გარიგების გუნდის გამოცდილება* ტრენინგი და პროფესიული განვითარება გარიგების გუნდის დენადობა პარტნიორის/მენეჯერის ჩართულობა პარტნიორის სამუშაოს მოცულობა
აუდიტის განხორციელების ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> აუდიტის საათები მნიშვნელოვანი რისკის არეების მიხედვით* აუდიტის განხორციელების ვადები* აუდიტის მიმდინარეობის მნიშვნელოვანი ეტაპები აუდიტის ჩასატარებლად გამოყენებული ტექნოლოგია სპეციალისტის მონაწილეობა* მომსახურების მიწოდების ცენტრები
ხელმძღვანელობის ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> ხელმძღვანელობის შედეგები* შიდა კონტროლის ნაკლოვანებების გამოსწორება შიდა კონტროლის პროცედურებზე დაყრდნობა
ინდიკატორები ფირმის დონაზე	<ul style="list-style-type: none"> ინსპექტირების შედეგები დამოუკიდებლობა რეპუტაცია ხელმძღვანელობის ტონი
დამკვეთის მოსახურების ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> აუდიტის კომიტეტთან ურთიერთობა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება

* აუდიტის ხარისხის ინდიკატორები საპილოტე პროექტში აირჩია 75%-ზე მეტმა მონაწილემ

CPAB-ი აღნიშნავს, რომ პრობლემის გადაჭრისთვის არ არსებობს მარტივი აუდიტის ხარისხის ინდიკატორები. ამასთან, არსებობს მთელი რიგი ასპექტებისა, რაც დამოკიდებულია ინდივიდუალურ აუდიტის კომიტეტების სპეციფიკურ საჭიროებებსა და გარემოებებზე.

ანგარიშში ჩამოთვლილია ის სარგებელი და გამოწვევები, რომლებიც აუდიტის ხარისხის ინდიკატორების გამოყენებისას გამოვლინდა. გარდა ამისა, ანგარიშში ახსნილია შერჩევასა, შეფასებისას და მათ შესახებ ანგარიშის წარდგენისას გასათვალისწინებელი ფაქტორები.

ინფორმის სარტიფიკაციაზე გულადებათა ინსტიტუტი (ICAI), ინფორმით

2021 წელს, ICAI-მა განსახილველად წარადგინა აუდიტის ხარისხის განვითარების მოდელი (AQMM), როგორც შესაძლებლობების გაზრდისთვის მისაღები ზომები. <https://resource.cdn.icaei.org/65383caq-aqmm-v1.pdf> ინიციატივის მთავარი მიზანია აუდიტორულ ფირმებს შესაძლებლობა მიეცეთ თავად შეაფასონ თავიანთი განვითარების დონე აუდიტის ხარისხის თვალსაზრისით. თავდაპირველად, ეს იქნება ნებაყოფლობითი, ხოლო დანერგვიდან ერთი წლის შემდეგ, ICAI-ი განიხილავს იმ თარიღს, რომლიდანაც იგი სავალდებულო გახდება.

ფირმები, რომლებიც ატარებენ საფონდო ბირჟაზე კოტირებული სამეურნეო სუბიექტების, ბანკების და სადაზღვევო კომპანიების აუდიტს, განეკუთვნებიან ამ მოდელს. ICAI-ის მიხედვით, განვითარების დონე არ უნდა გასაჯაროვდეს და არც საზოგადოებაში არ უნდა იყოს ნახსენები აუდიტორული ფირმების მიერ. ეს მოდელი მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს შემდეგი კომპეტენციის საფუძვლებისთვის:

კომპეტენციის საფუძვლები	აუდიტის ხარისხის ინდიკატორები
პრაქტიკის მართვა - ფუნქციონირება	<ul style="list-style-type: none"> ▪ ფირმის პრაქტიკის სფეროები ▪ სამუშაო პროცესი - პრაქტიკის სახელმძღვანელოები ▪ ხარისხის მიმოხილვის სახელმძღვანელოები ან აუდიტის ინსტრუმენტი ▪ მომსახურების მიწოდება - ძალისხმევის მონიტორინგი ▪ გარიგებების ხარისხის კონტროლი ▪ მომსახურების მიწოდების ნიშნულის განსაზღვრა ▪ დამკვეთის სენსიტიურობა ▪ ტექნოლოგიის ადაპტაცია ▪ ამონაგები, ბიუჯეტის შედგენა და ფასწარმოქმნა
პრაქტიკის მართვა - სტრატეგიული ფუნქციონირება	<ul style="list-style-type: none"> ▪ რესურსების დაგეგმვა და მონიტორინგი ფირმის პოლიტიკის მიხედვით ▪ თანამშრომლების სპეციალური მომზადება და ზრდა-განვითარება ▪ რესურსების დენადობა და ანაზღაურების მართვა ▪ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო უნარ-ჩვევები და ექსპერტების გამოყენება ▪ ფირმის მიერ პერსონალის მუშაობის შესაფასებლად განხორციელებული ზომები (ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPIs))
პრაქტიკის მართვა - სტრატეგიული ფუნქციონირება	<ul style="list-style-type: none"> ▪ პრაქტიკის მართვა ▪ ინფრასტრუქტურა - ფიზიკური და სხვა ▪ პრაქტიკული გამოცდილება

აუდიტის ხარისხის თვალსაზრისით, აუდიტორული ფირმის განვითარების დონის აღმნიშვნელი თვითშეფასების შედეგი 0-დან 600-მდე ქულის ფარგლებში იმერყეებს.

გულადიხილი აღიიხსიისა და კორკორიხილი მარევილიხილი რიგარო (ACRA) – სინგარუი

2015 წელს, ACRA-მა შემოილო აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების სტრუქტურული საფუძვლები იმისთვის, რომ გარეკტიურებინა განხილვები აუდიტის კომიტეტებსა და აუდიტორულ ფირმებს შორის იმ ელემენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელს უწყობებ ან მიანიშნებენ აუდიტის ხარისხზე. 2020 წელს, ACRA-მა განახლა სტრუქტურული საფუძვლები, რომელიც ხელმისაწვდომია აუდიტორული ფირმების მიერ ნებარეფლობით გამოყენებისთვის.

გადასინჯული სტრუქტურული საფუძვლები შეიცავს 7 აუდიტის ხარისხის ინდიკატორს, რომლის შესახებ ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს გარეგების ან/და ფირმის დონეზე შემდეგნარად:

- აუდიტის საათები: აუდიტის გუნდის წევრების მიერ გარეარჯული დრო თითოეული აუდიტის ფაზის განმავლობაში
- გამოცდილება: აუდიტის ჩატარებისა და დარგში სპეციალიზაციის მრავალწლიანი გამოცდილება
- ტრენინგები: ტრენინგების საათების საშუალო რაოდენობა და დარგისთვის დამახასიათებელი ტრენინგები
- ინსპექტირება: გარე და შიდა ინსპექტირებების შედეგები
- ხარისხის კონტროლი: ხარისხის კონტროლის ფუნქციონირებაში ჩართულთა რიცხვონობა
- პერსონალის ზედამხედველობა: პერსონალის თანარფარდობა თითო პარტნიორზე/მენეჯერზე
- შემცირების მარევენებელი: პერსონალის დანაკარგების ხარისხი

სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით, რეკომენდებულია, რომ აუდიტორულმა ფირმებმა აუდიტის ხარისხის ინდიკატორების მონაცემები აუდიტის კომიტეტებს პირადად გაუზიარონ თითოეული წლიური აუდიტის დასრულებისთანავე და მაშინაც, როდესაც აუდიტის კომიტეტი განიხილავს აუდიტორის შეცვლას.

ACRA-მა ასევე გამოსცა სახელმძღვანელო აუდიტის კომიტეტებისთვის იმისთვის, რომ განემარტა აუდიტის ხარისხის ინდიკატორები და თუ როგორ უნდა გაუკეთონ ინტერპრეტაცია მათ აუდიტის კომიტეტებმა. ACRA-ი განახორცილებს შერჩევით შემოწმებებს, რათა დარწმუნდეს, რომ აუდიტორული ფირმების მიერ მიწოდებული აუდიტის ხარისხის ინდიკატორების მონაცემები სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისადაა მომზადებული.

აუდიტორთა და მოუკიდებელი მენეჯერების საბჭო (IRBA), სამხრეთ აფრიკა

IRBA-მა 2021 წელს გამოსცა კვლევის ანგარიში აუდიტის ხარისხის ინდიკატორების შესახებ. ფირმებს, რომლებიც ატარებენ საფონდო ბირჟაზე კოტირებული სამეურნეო სუბიექტების აუდიტს, მოსთხოვს აუდიტის ხარისხის ინდიკატორებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და იმ ანგარიშის წარდგენა, რომელშიც აღწერილია წარდგენილი ინფორმაციის შედეგები შემდეგი ხუთი ფართო თემატური კატეგორიის მიხედვით:

კატეგორია	აუდიტის ხარისხის ინდიკატორები
და მოუკიდებელი	<ul style="list-style-type: none"> არააუდიტორული მომსახურების საფასური (%) - აუდიტის დამკვეთებიდან მიღებულ მთლიან ანაზღაურებასთან პროცენტული შეფარდება საფასურის ზღვევინება (%) - აუდიტის დამკვეთებიდან მიღებული მთლიან ანაზღაურების შიდა დარიცხვასთან პროცენტული შეფარდება.
თანამდებობაზე ყოფნის ვადა	<ul style="list-style-type: none"> ფირმა (წლები) - აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის დამკვეთისთვის დასრულებული მომსახურების წლების საშუალო რაოდენობა. პარტნიორის გამოცდილება (წლები) - გარიგების პარტნიორის თანამდებობაზე ყოფნის საშუალო ვადა
ფირმის ხარისხის შიდა მიმოსილების პროცენტები	<ul style="list-style-type: none"> გარიგების ხარისხის მიმოხილვის პარტნიორის სამუშაო საათები და გარიგების ხარისხის მიმოხილვის გუნდის სამუშაო საათები (%) ფირმის მიმოხილვის პროცესები შიდა მიმოხილვის შედეგები (%) პარტნიორის შიდა მიმოხილვით მასშტაბი (%)
პარტნიორებისა და აუდიტის მენეჯერების საშუალო მოსალო	<ul style="list-style-type: none"> გარიგების პარტნიორის ფუნქცია (%) მენეჯერის ზედამხედველობა (%)
სხვა	<ul style="list-style-type: none"> უფლებამოსილების ფარგლები: პროფესიონალი პერსონალი (კოეფიციენტი) ტექნიკური რესურსები: პარტნიორი (კოეფიციენტები) ტრენინგი (საათები თითო ადამიანზე) კადრების დენადობა (%)

ანგარიშში დასაბუთებულია, რომ მაღალ ან დაბალ კოეფიციენტებს სხვადასხვა მომხმარებლისთვის შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. გარდა ამისა, ისინი შეიძლება სხვაგვარად იყოს ინტერპრეტირებული, როდესაც დაკავშირებულია სხვა სტატისტიკურ მონაცემებთან. ამგვარად, აუდიტის ხარისხის ინდიკატორების კონტექსტი ყოველთვის ყურადღებით უნდა განიხილებოდეს.

ანგარიშში ანონიმურადაა მოცემული შედეგები აუდიტორულ ფირმებს შორის. IRBA-ი, ინსპექტირების პროცესის ფარგლებში, ეყრდნობა აუდიტის ხარისხის ინდიკატორებს, როგორც ბიზნეს საზრიანობის თავმოყრისა და რისკზე დაფუძნებული შერჩევების საინფორმაციო წყაროს. გარდა ამისა, ისინი ეხმარება IRBA-ის აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული საერთო ტენდენციების მონიტორინგში.

აუდიტის ხარისხის მართვა (CAQ), აუშ

CAQ-ის აუდიტის ხარისხის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების სტრუქტურული საფუძვლები CAQ-ის მთელ რიგ წევრ ფირმებთან კონსულტაციის საფუძველზე შემუშავდა. ის მიზნად ისახავს, დაეხმაროს აუდიტორულ ფირმებს გამჭვირვალობის ან აუდიტის ხარისხის ანგარიშგების შემუშავებაში (ან იმ შემთხვევაში, თუ განიხილავენ მათ შემუშავებას). სტრუქტურული საფუძვლები, რომელიც იცავს სამ ძირითად პრინციპს:

- არის ნებაყოფლობითი და საილუსტრაციო
- არის მოქნილი, რაც ფირმებს ყველაზე რელევანტური ინფორმაციის ადაპტირების საშუალებას აძლევს
- ეხება ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას ფირმის და არა გარიგების დონეზე

ზემოაღნიშნულ ყოვლისმომცველ პრინციპებზე დაყრდნობით, სტრუქტურული საფუძვლები იძლევა დაკვირვების საგანს და ფირმის დონეზე არსებული აუდიტის ხარისხის ინდიკატორების კონკრეტულ მაგალითებს ქვემოთ ჩამოთვლილი აუდიტის ხარისხის 6 ელემენტისთვის:

- ხელმძღვანელობა, კულტურა და ფირმის მართვა
- ეთიკა და დამოუკიდებლობა
- ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარება, ძველ დამკვეთებთან ურთიერთობის გაგრძელება და კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება
- გარიგების გუნდის მართვა
- აუდიტის გარიგების შესრულება
- მონიტორინგი

CAQ-ი აღნიშნავს, რომ დაინტერესებულ მხარეებს შეიძლება განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ აუდიტის ხარისხის შესახებ ინფორმაციის შეფასებისა და მიწოდების გზებზე. შესაბამისად, არცერთი კრიტერიუმი და არც კრიტერიუმების კომპლექტი არ უნდა იქნეს განხილული, როგორც აუდიტის ხარისხის ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. თუმცა, კრიტერიუმების ერთობლიობის ერთიანად გამოყენებამ, აქტიური განხილვის თანხლებით, შეიძლება სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოს, ასევე დამატებითი გამჭვირვალობა შემატოს ფირმის ხარისხის მართვის სისტემებს.

პასუხისმგებლობაზე უარის თქმა: Accountancy Europe-ი ყველა ღონეს ხმარობს იმის უზრუნველსაყოფად, მაგრამ გარანტიას ვერ იძლევა, რომ წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია ზუსტია და ჩვენ ვერ ავიღებთ რაიმე პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ჩვენ ხელს ვუწყობთ წინამდებარე პუბლიკაციის გავრცელებას იმ პირობით, რომ უნდა ვიყოთ ნახსენები, როგორც წინამდებარე მასალის ინფორმაციის წყარო და უნდა არსებობდეს ჰიპერბმული, რომელიც მიუთითებს ჩვენს ორიგინალურ შინაარსს. თუკი გსურთ წინამდებარე პუბლიკაციის გამრავლება ან თარგმნა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მოთხოვნა შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@accountancyeurope.eu.



Avenue d'Auderghem 22-28, 1040 Brussels



+32(0)2 893 33 60



www.accountancyeurope.eu



@AccountancyEU



Accountancy Europe

ACCOUNTANCY EUROPE-ის შესახებ

Accountancy Europe-ი აერთიანებს 50 პროფესიულ ორგანიზაციას იმ 35 ქვეყნიდან, რომელიც წარმოადგენს 1 მილიონამდე პროფესიონალ ბუღალტერს, აუდიტორსა და კონსულტანტს. ისინი ეხმარებიან ადამიანებს სასურველი შედეგების მიღებაში. Accountancy Europe-ი ყოველდღიურ გამოცდილებას გარდაქმნის იმგვარად, რომ საჯარო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ.

Accountancy Europe-ი იმყოფება ევროკავშირის გამჭვირვალობის რეესტრში (No 4713568401-18).